განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბოტკოველი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრ(ებ)ი:

ნიკა უთალიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	აჯარო სამართლის იურიდიულ პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 202055587

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი, *დიდუბე*, ვ. ბაგრატიონის ქ. 58
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, *დიდუბე*, ვ. ბაგრატიონის ქ. 58
საფოსტო ინდექსი	0119
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi100@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577 577 428

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 25 0001676939, 11.11.2025
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2025 წლის 19 დეკემბერი

სკოლა არგუმენტირებული პოზიციით სრულად დაეთანხმა ექსპერტთა მიგნებებს.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა და დასკვნის პროექტი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 11 ნოემბრის **MES 3 25 0001676939** ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრი ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) — დაევალა ცენტრში შემოსული 2025 წლის 30 სექტემბრის N1246899 კორესპონდენციისა და სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლის 2025 წლის 27 ოქტომბრის N1413642 კორესპონდენციაში ასახული გარემოების გამოკვლევის, შემოწმებისა და მათი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრული სტანდარტის/სტანდარტების შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2025 წლის 19 დეკემბერს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ - ქალაქ თბილისის N100 საჯარო სკოლაში (ს/კ 202055587).

შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც სკოლის დირექტორს გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებასთან ერთად. პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და ღია კომუნიკაციის გარემოში.

მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებმა გამართეს გასაუბრებები სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, კლასის დამრიგებელთან და მშობელთან, რომელიც ცენტრში შემოსული კორესპონდენციის ავტორი. ექსპერტების შეკითხვები მიმართული იყო კორესპონდენციაში ასახული გარემოებების დადგენისკენ, რომლებიც ეხებოდა მშობლის უკმაყოფილებას მისი სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე) შვილების მომსახურებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებს ჰქონდათ მოსწავლეებთან გასაუბრების ჩატარების შესაძლებლობა, რისთვისაც სკოლამ წინასწარ მოიპოვა მშობელთა შესაბამისი თანხმობები. არსებული ვითარების შეფასების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, მოსწავლეებთან დამატებითი შეხვედრები არ ჩატარებულიყო, რათა არ შექმნილიყო ემოციური დაძაბულობა, არ შეფერხებულიყო სასწავლო პროცესი და დაცულიყო ბავშვების ფსიქოლოგიური კეთილდღეობა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონია კომუნიკაცია სხვა მშობლებთან ან მესამე პირებთან, რაც უზრუნველყოფდა პროცესის კონფიდენციალურობასა და შეფასების ობიექტურობას.

მშობლის წერილი

მშობლის წერილის მიხედვით, მისი 13 წლის გოგონები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები, რომელთა ძირითადი სირთულე დაკავშირებულია გადაადგილებასთან. ისინი სარგებლობენ ეტლითა და სხვადასხვა დამხმარე საშუალებით. ასევე აღენიშნებათ მსხვილი და ნატიფი მოტორიკის სირთულეები, რის გამოც საჭიროებენ მუდმივ ადამიანურ ასისტირებას. ამასთან, მშობლის

განმარტებით, ბავშვებს აქვთ მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები, არ აღენიშნებათ გონებრივი ჩამორჩენა და აქტიურად არიან ჩართული სკოლის საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლა შეარჩია იმის გამო, რომ ის ახალაშენებული და ნაწილობრივ ადაპტირებული იყო. თუმცა, ოთხი წლის განმავლობაში სკოლაში არ ფუნქციონირებდა ლიფტი, რის გამოც მოსწავლეებს არ ჰქონდათ სპორტის გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობა, რადგან სპორტის დარბაზი მესამე სართულზე იყო განთავსებული, ხოლო მათი საკლასო ოთახი - პირველ სართულზე. აღნიშნული გარემოება ბავშვებისთვის ემოციურად დამთრგუნველი იყო. მშობლის განმარტებით, პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მან საკითხი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის წინაშე დააყენა.

მშობელი ასევე მიუთითებს სკოლის დირექტორისა და კლასის დამრიგებლის გულგრილ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე, რომლებიც აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად სათანადო ნაბიჯებს არ დგამდნენ. მისი თქმით, მას თავად მოუწია სველი წერტილების ადაპტირება საკუთარი ფინანსური რესურსებით, მათ შორის ნიჟარის, უნიტაზისა და დამხმარე საშუალებების შეძენა და დღემდე თავად უზრუნველყოფს სველი წერტილების სისუფთავეს. მისივე განცხადებით, ბავშვებს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უნდა ჰყოლოდათ თითო ასისტენტი, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ ჰყავდათ მხოლოდ ერთი ასისტენტი, ხოლო მეორე ბავშვს დახმარებას უწევდა ძიძა, რომლის მომსახურების საფასურს მშობელი საკუთარი სახსრებით ფარავდა. მისივე განმარტებით, განათლების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ჩართულობის შედეგად, მეხუთე წელს მეორე ასისტენტი ოფიციალურად გაფორმდა.

გარდა ამისა, მშობელი აღნიშნავს, რომ სკოლას არ გააჩნდა სათანადო პარკინგი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა მისი და ბავშვების გადაადგილებას. მისი თქმით, სკოლა ეზოში შესვლის უფლებას არ აძლევდა, ხოლო არსებული პარკინგი მუდმივად გადატვირთული იყო. ბავშვების უკეთესი ჩართულობის მიზნით, მშობელმა საკუთარი სახსრებით შეიძინა ადაპტირებული სკამები და თეთრი დაფა, თუმცა პედაგოგების ნაწილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას აღნიშნული დაფის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლაში არ იყვნენ დასაქმებული დამლაგებლები, არ ფუნქციონირებდა ბუფეტი, ხოლო სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას არ ჰყავდა გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებლები.

კორესპონდენციის მთავარი საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ მშობელმა თავად მოიძია ბავშვებისთვის საჭირო ადაპტირებული კლავიატურა და მაუსი, რაც მათ საშინაო დავალებების უფრო ეფექტიანად შესრულებაში დაეხმარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოწყობილობები განათლების სამინისტროს მიერ დაფინანსდა, სკოლამ უარი განაცხადა მათი ბავშვებისთვის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ინვენტარი ეკუთვნის სკოლას და შესაძლოა სხვა მოსწავლეებმაც გამოიყენონ. მშობლის განმარტებით, აღნიშნული

ინვენტარი მისი პირადი ჩართულობისა და ინიციატივის შედეგად იქნა შეძენილი და სხვა სკოლებში მსგავსი პრაქტიკა პრობლემის გარეშე ხორციელდება.

მშობელი აღნიშნავს, რომ ბავშვებს არ სურთ თანაკლასელებისგან დაშორება ან სკოლიდან გადასვლა. ასევე, მშობელს თავადაც არ სურს სკოლის დატოვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი მიმართავს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თხოვნით, უზრუნველყოს სიტუაციის შესწავლა და აღმოფხვრას სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

სკოლის საპასუხო წერილი

სსიპ ქალაქ თბილისის №100 საჯარო სკოლა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი ახალ შენობაში განახლდა 2018 წლის 7 ნოემბერს. იმ პერიოდში შენობა ჯერ არ იყო ოფიციალურად ექსპლუატაციაში მიღებული, თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არსებული რთული მდგომარეობის გათვალისწინებით – N166 საჯარო სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა მეორე ცვლაში, რაც მოსწავლეთა გადინების რისკს იწვევდა.
ლიფტის დროებითი უმოქმედობის შესახებ სკოლამ არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს. აღნიშნული პრობლემის მოგვარებამდე ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა სასწავლო ოთახები განთავსებული იყო პირველ სართულზე, რაც უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას. შემდგომში ლიფტს ჩაუტარდა ტექნიკური ინსპექტირება და ამოქმედდა, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
სსსმ მოსწავლეებისთვის სკოლაში უზრუნველყოფილი იყო ადაპტირებული გარემო, მათ შორის საკლასო სივრცეები, სარგებლობისთვის ხელმისაწვდომი შესასვლელები და საჭიროებისამებრ სასწავლო პროცესის ორგანიზების მოქნილი ფორმები. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ლიფტის ამოქმედებამდე ტარდებოდა პირველ სართულზე, სკოლის ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების ფარგლებში.
ამ ეტაპზე სკოლაში თითოეულ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშოები, რომლებიც შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. აღნიშნული სივრცეები წარმოადგენს საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურას და არ არის რომელიმე კონკრეტული პირისთვის ინდივიდუალურად მიკუთვნებული, რამდენადაც სკოლაში სხვა შშმ მოსწვლეებიც სწავლობენ. სკოლა უზრუნველყოფს მათ მოვლა-პატრონობასა და გამართულ ფუნქციონირებას.
რაც შეეხება ჰიგიენური და დასასუფთავებელი საშუალებების საკითხს, სკოლას ყოველწლიურად გამოყოფილი აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. სკოლის ადმინისტრაციასთან არ დაფიქსირებულა ინფორმაცია საპირფარეშოს დაზიანების შესახებ მშობლის მხრიდან.

სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია საპარკინგე ზოლი, მათ შორის შშმ პირთათვის განკუთვნილი ადგილი. დამატებით, მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, გარკვეულ პერიოდში მათთვის შესაძლებელი იყო სკოლის ტერიტორიაზე ავტომობილით შემოსვლა ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციის შესაბამისად, განსაზღვრული იყო როგორც ასისტენტის, ისე სპეციალური პედაგოგის მომსახურება. ამასთან, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მშობლის მოთხოვნით გარკვეული მხარდაჭერის სერვისების გამოყენებაზე გაცხადებული იყო უარი, რაც დაფიქსირებულია შესაბამის დოკუმენტებში.

სკოლის მასწავლებელთა დაკომპლექტება განხორციელდა ღია კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მონაწილეობით. ყველა პედაგოგი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეუდგა პროფესიული მოვალეობების შესრულებას. სკოლის პოზიციაა, რომ კონკურსის შედეგად შერჩეული პედაგოგების მიმართ უარყოფითი შეფასებები არ ემყარება ობიექტურ გარემოებებს.

კლასის დამრიგებლის მიმართ წარდგენილ უკმაყოფილებას სკოლა არ იზიარებს. დასახელებული პედაგოგის საქმიანობასთან დაკავშირებით აქამდე პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება ადაპტირებული ტექნიკის გამოყენებას, აღნიშნული ინვენტარი აღრიცხულია სკოლის ბალანსზე და მისი გამოყენება გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ფარგლებში. საკითხთან დაკავშირებით სკოლამ დამატებით მიიღო სამართლებრივი კონსულტაცია და იმოქმედა კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ განცხადებაში ასახული შეფასებები ეფუძნება სუბიექტურ აღქმებს და არ დასტურდება წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებით. ამავდროულად, სკოლა მუდმივად აგრძელებს მუშაობას მოსწავლეთა ინტერესებზე ორიენტირებული, ინკლუზიური და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

ექსპერტული ანალიზი

სსიპ ქალაქ თბილისის №100 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე სტანდარტების დარღვევა არ დაფიქსირებულა.

1. ინფრასტრუქტურის ადაპტირება და ლიფტის ფუნქციონირება

მშობლის წერილში აღნიშნულია, რომ სკოლაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა ლიფტი, რაც ზღუდავდა შშმ მოსწავლეების სრულფასოვან ჩართულობას.

ექსპერტული შეფასებით დგინდება, რომ სკოლამ ლიფტის გაუმართაობის პერიოდში მიიღო **შუალედური ორგანიზაციული გადაწყვეტილებები**, კერძოდ:

- ეტლით მოსარგებლე მოსწავლეთა საკლასო ოთახები განთავსებული იყო პირველ სართულზე;

- ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები ლიფტის ამოქმედებამდე ტარდებოდა პირველ სართულზე;
- სკოლამ არაერთხელ მიმართა შესაბამის უწყებებს ლიფტის ამუშავების მოთხოვნით.

აღნიშნული გარემოებები დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური კორესპონდენციებით ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და ლიფტის ტექნიკური გამართულობის აქტით.

მტკიცებულებები: დანართები N1, N2, N3.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლამ ლიფტის დროებითი უმოქმედობის პირობებში უზრუნველყო მოსწავლეთა უსაფრთხოება და მინიმალური ხელმისაწვდომობა, ხოლო პრობლემის აღმოფხვრა არ იყო დამოკიდებული უშუალოდ სკოლის ადმინისტრაციაზე.

2. ადაპტირებული საპირფარეშოს საკითხი

მშობლის პოზიციის მიხედვით, ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობა და მოვლა განხორციელდა მისი პირადი ძალისხმევითა და რესურსებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმარტებებით ირკვევა, რომ:

- ადაპტირებული საპირფარეშოები სკოლაში თავიდანვე იყო მოწყობილი და შეესაბამებოდა მოქმედ სტანდარტებს;
- აღნიშნული სივრცეები წარმოადგენს საერთო სარგებლობის ინფრასტრუქტურას;
- მშობლის მიერ საპირფარეშოზე საკეტის თვითნებურად დამონტაჟებამ და გასაღების შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამ გამოიწვია ტექნიკური რისკები, მათ შორის სკოლის დატბორვა.

აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია სკოლის მნეს სამსახურეობრივი ბარათითა და შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციით.

მტკიცებულებები: დანართები N4, N5.

ექსპერტული შეფასებით, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ინდივიდუალურ გამოყენებაზე გადატანა არ შეესაბამება საერთო სარგებლობის პრინციპს და შესაძლოა ზიანს აყენებდეს სხვა შშმ მოსწავლეთა ინტერესებს.

3. ჰიგიენური პირობები და დასუფთავება

მშობელი მიუთითებს, რომ თავად უზრუნველყოფდა გარკვეული სივრცეების სისუფთავეს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური და შესყიდვების დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ:

- სკოლას ყოველწლიურად გამოყოფილი აქვს ფინანსური რესურსი ჰიგიენური და დასასუფთავებელი საშუალებების შესაძენად;
- სკოლაში დასაქმებულია დამლაგებელი პერსონალი და ტექნიკური თანამშრომლები;

- სკოლის ადმინისტრაციაში არ დაფიქსირებულა მშობლის მხრიდან ოფიციალური შეტყობინება ინფრასტრუქტურული დაზიანებების შესახებ.

მტკიცებულებები: შესყიდვების ხელშეკრულებები N6, დამლაგებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები N279, N300, N301, N309.

4. პარკინგი და გადაადგილება

მშობელი მიუთითებს პარკინგის არარსებობასა და გადაადგილების სირთულეებზე.

სკოლის განმარტებითა და წარმოდგენილი ფაქტებით ირკვევა, რომ:

- სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია შშმ პირთათვის განკუთვნილი საპარკინგე ადგილი;
- გარკვეული პერიოდის განმავლობაში, უსაფრთხოების ზომების დაცვით, მოსწავლეთა ავტომობილით სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლაც იყო შესაძლებელი;
- აღნიშნულ პროცესს აკონტროლებდნენ სკოლის თანამშრომლები.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლამ გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით გამოიყენა არსებული ადმინისტრაციული რესურსები.

5. ასისტენტის და სპეციალური პედაგოგის მომსახურება

მშობლის წერილში ასახულია ასისტენტის არასაკმარისი მხარდაჭერის საკითხი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ:

- მოსწავლეებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით განსაზღვრული იყო ასისტენტის და სპეციალური პედაგოგის საჭიროება;
- მეორე ასისტენტი (ბავშვების ძიძა) დასაქმდა კონკურსის წესით, კანონმდებლობის სრული დაცვით;
- მშობლის მოთხოვნით, გარკვეულ პერიოდში შეზღუდული იყო ასისტენტის და სპეციალური პედაგოგის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

მტკიცებულებები: სპეცპედაგოგის სამსახურეობრივი ბარათი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ოქმი.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მხრიდან მხარდაჭერის სერვისები შეთავაზებული იყო.

6. პედაგოგიური პერსონალი და საგაკვეთილო პროცესი

მშობლის მიერ დასმული საკითხები შეეხებოდა გეოგრაფიისა და ფიზიკის მასწავლებელთა ნაკლებობას, აგრეთვე კლასის დამრიგებლის დამოკიდებულებას მოსწავლეების მიმართ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და ექსპერტთა მიერ განხორციელებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ:

- მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა ღია კონკურსის წესით, შესაბამისი საკონკურსო პროცედურების დაცვით;
- ყველა პედაგოგი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეუდგა პროფესიული მოვალეობების შესრულებას;
- კლასის დამრიგებლის მიმართ მანამდე ოფიციალური პრეტენზიები არ დაფიქსირებულა;
- გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ კლასის დამრიგებელი ავლენს მზრუნველ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას მოსწავლეების მიმართ და აქტიურად არის ჩართული მათი მხარდაჭერის პროცესში.

მტკიცებულებები: დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათი, საკონკურსო დოკუმენტაცია.

7. ადაპტირებული ტექნიკის (კლავიატურა, მაუსი) საკითხი

მშობლის განმარტებით, ადაპტირებული ტექნიკა არ გადაეცა ბავშვებს.

სკოლის განმარტებით:

- ტექნიკა შეძენილია სკოლის მიერ და აღრიცხულია სკოლის ბალანსზე;
- მისი გამოყენება გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ფარგლებში;
- სკოლამ მიიღო იურიდიული კონსულტაცია და მოამზადა მიღება-ჩაბარების აქტი დროებითი სარგებლობისთვის;
- მშობელმა უარი განაცხადა ტექნიკის მიღებაზე.

მტკიცებულებები: შესყიდვის ხელშეკრულებები, იურისტთან მიმოწერა, მიღება-ჩაბარების აქტი.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლა მოქმედებდა კანონმდებლობის ფარგლებში და გაითვალისწინა სხვა შშმ მოსწავლეების ინტერესებიც.

საერთო დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, გამოვლენილი პრობლემების უმეტესობა დაკავშირებულია არა ინფრასტრუქტურულ ან ორგანიზაციულ საკითხებთან, არამედ სკოლასა და მშობელს შორის სისტემური და ეფექტური კომუნიკაციის ნაკლებობასთან.

ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლა წლების განმავლობაში ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებას შშმ და სსსმ მოსწავლეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის: ინფრასტრუქტურის ადაპტირება, ლიფტის ამოქმედებასთან დაკავშირებული მიმართვები, სასწავლო პროცესის ორგანიზაციული ცვლილებები და მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება. აღნიშნული ღონისძიებები რეალურად პასუხობდა მოქმედ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ მოთხოვნებს, თუმცა არ იყო სათანადოდ კომუნიცირებული მშობელთან. შედეგად, მშობელს ჩამოუყალიბდა აღქმა, რომ მიღწეული შედეგები ძირითადად მისი პირადი ჩართულობისა და ძალისხმევის შედეგი იყო.

მტკიცებულებებისა და განმარტებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებები კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სტანდარტებს სრულად შეესაბამებოდა, ხოლო მშობლის აღქმული პრობლემები ძირითადად კომუნიკაციის ნაკლებობით იყო გამოწვეული.

ექსპერტებთან გასაუბრების პროცესში მშობელმა პირველად მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სკოლამ სხვადასხვა ეტაპზე გაატარა არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. აღნიშნულმა კომუნიკაციამ ხელი შეუწყო რიგი საკითხების უკეთ გააზრებას და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ადგილზე ყოფნის პერიოდში განხორციელდა უშუალო და კონსტრუქციული კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა მხარეებს პოზიციების და პასუხისმგებლობების დაზუსტებაში. განხილვის შედეგად გამოიკვეთა მზაობა თანამშრომლობის გაგრძელებისკენ, ხოლო სკოლამ დაადასტურა, რომ მომავალშიც გააგრძელებს შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე ორიენტირებულ ღონისძიებებს, მოქმედი კანონმდებლობისა და ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდენარე, ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სკოლამ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად:

1. გააძლიეროს მშობლებთან რეგულარული და სტრუქტურირებული კომუნიკაციის მექანიზმები, განსაკუთრებით სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხებზე;
2. უზრუნველყოს პედაგოგიური პერსონალის საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მშობლების დროული ინფორმირება;
3. განავითაროს კლასის დამრიგებლისა და მშობლის თანამშრომლობის ფორმები (გეგმური შეხვედრები, უკუკავშირის ფორმატები);
4. პერიოდულად შეაფასოს მშობლების ინფორმირებულობის დონე და მათი ჩართულობა სასკოლო პროცესებში;
5. გააგრძელოს პედაგოგიური პერსონალის პროფესიული მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების პრინციპების გაძლიერების მიზნით.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს ნდობის გაძლიერებას, კონფლიქტური სიტუაციების პრევენციას და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს კიდევ უფრო ეფექტიან განვითარებას.

თარიღი 25.01.2026

ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარე -- ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ჯგუფის წევრი - ნიკა უთალიშვილი -